ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 431

27 დეკემბერი
"---" -------- 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ის მიმდებარედ 81 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.007.031) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის" (ს/ნ:№402087317) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ის მიმდებარედ 81 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.007.031) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის" (ს/კ :№402087317) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 დეკემბრის №19.1295.1623 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ის მიმდებარედ 81 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.007.031) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის" (ს/ნ:№402087317) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**